ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 165

"22" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ა(ა)იპ -ქ. თბილისის მერიის №21 ხელოვნების სკოლისთვის (ს/კ №206274841), ა(ა)იპ - ქ. თბილისის მერიის გ.ცაბაძის სახელობის №25 ხელოვნების სკოლისთვის (ს/კ №209467968), ა(ა)იპ - ქ.თბილისის მერიის არჩილ ჩიმაკაძის სახელობის №3 ხელოვნების სკოლისთვის (ს/კ №206075085), ა(ა)იპ - ქ.თბილისის მერიის ზაჰესის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №5 ხელოვნების სკოლისთვის (ს/კ №236094141), ა(ა)იპ - ქ. თბილისის მერიის პ.ამირანაშვილის სახელობის მე-18 ხელოვნების სკოლისთვის (ს/კ №200037548) გარკვეული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" პუნქტისა და 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 20 მაისის №20.06.574 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების:

ა) ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი №18, კორპუს №1-ში, პირველ სართულზე არსებული 191,41 კვმ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.34.002.013.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით, ა(ა)იპ - ქ. თბილისის მერიის №21 ხელოვნების სკოლისთვის (ს/კ: №206274841) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე;

ბ) ქ. თბილისში, გლდანში მე-3 მიკრორაიონში, კორპუს №87-ში, მე-3 სართულზე არსებული 303,05 კვმ. ფართის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.004.021.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით, ა(ა)იპ - ქ. თბილისის მერიის გიორგი ცაბაძის სახელობის №25 ხელოვნების სკოლისთვის (ს/კ: 209467968) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე;

გ) ქ. თბილისში, მე-4 მიკრორაიონში, მე-3 სამუსიკო სკოლის პირველ სართულზე მდებარე 867,91 კვმ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.002.028.01.508.) და ქ. თბილისში, ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონში, მე-3 სამუსიკო სკოლის მე-2 სართულზე არსებული 598,38 კვმ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.002.028.01.509) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - ქ. თბილისის მერიის არჩილ ჩიმაკაძის სახელობის №3 ხელოვნების სკოლისთვის (ს/კ: 206075085) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე;

დ) ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესში, თავისუფლების ქუჩა №18-ში მდებარე 228,65 კვმ. ფართის (საკადასტრო კოდი: №72.12.03.361.01.501.) პირდაპირი განკარგვის წესით ქ. თბილისის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ზაჰესის №5 ხელოვნების სკოლისთვის (ს/კ: 236094141) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ;

ე) ქ. თბილისში, თემქის დასახლებაში, მე-3 მიკრორაიონში, მე-2 კვარტალში, კორპუს №25-ში პირველ სართულზე არსებული 312,41 კვმ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.12.02.013.007.01.500) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პ.ამირანაშვილის სახელობის №18 ხელოვნების სკოლისთვის (ს/კ: 200037548) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე  გიორგი ალიბეგაშვილი